



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია

წევრები:

ნატალია ბეიტრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ცირა ბრეგვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ინგა გოგალაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლანა კუჭავა - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224628080

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური
ფაქტობრივი მისამართი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური
საფოსტო ინდექსი	0900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/996?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	akhosiauri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591012747

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 01 ივლისის N 0 24 0000779841 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25, 26 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოსიაური

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლაში 2024 წლის 25 და 26 ივლისს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა

ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. დაწყებითების ექსპერტი ესწრებოდა მის საგნობრივ ჯგუფში შემავალ ინტერვიუებს, დასვა კითხვები, გააკეთა კურიკულუმების რევიზია. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანები, მითითებულ ვადაში (20.05.2024- 01.09.2024)

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი N.1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და წინა წლის თვითშეფასებას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.05.2024 – 16.09.2024)
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური რესურსების განსაზღვრით, მითითებულ ვადაში (20.05.2024- 16.09.2024)
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და იდენტიფიცირებული მასწავლებლის მიერ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის წარმოდგენის უზრუნველყოფა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.08.2024 – 23.08.2024)
ინდიკატორი N.3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა ან სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2026)



ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (აგვისტო 2024 - აგვისტო 2025)
ინდიკატორი N.3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა ან სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2026)
ინდიკატორი N.3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შემუშავება კანონთან „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისობაში, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და განახორციელოს შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის



		სამსახურთან, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2024 - მაისი -2025) ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და კომპიუტერის, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კონტროლი, განთავსება ისეთ გარემოში, რომელზეც წვდომა ექნება მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2025)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N....</i>		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი კლასების კურიკულუმში(III -V)კლასების შემთხვევაში დამუშავდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება . კერძოდ: III კლასში მე-3 სამიზნე ცნება -სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. V კლასში დამუშავდეს მე-5 სამიზნე ცნება - სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024)
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გადაიხედოს და შემუშავდეს შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში) , რომელშიც გამოიკვეთება თემატური ბლოკის/თემის/საკითხის ფარგლებში საგნის სტანდარტით განსაზღვრულ რომელ სამიზნე



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ცნებას მიემართება შეფასება, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024)
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში), რომელშიც გამოიკვეთება თემატური ბლოკის/თემის/საკითხის ფარგლებში საგნის სტანდარტით განსაზღვრულ რომელ სამიზნე ცნებას მიემართება შეფასება. შემუშავდეს შეფასების რუბრიკები, რომელითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრა ამა თუ იმ სამიზნე ცნება, ქვეცნებასთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმში VIII -IX კლასების შემთხვევაში დამუშავდეს თემა/თემები სტანდარტით განსაზღვრული სამი თემატური ბლოკის ფარგლებში, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024)
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, VIII –IX კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დამუშავდეს თემა/თემები სტანდარტით განსაზღვრული სამი თემატური ბლოკის ფარგლებში შესაბამისად განაწილდეს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024).
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (მაისი 2024 - მაისი 2025)



ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემების მოგვარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024) კერძოდ, გადაიხედოს და შემუშავდეს შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში), რომელშიც გამოიკვეთება თემატური ბლოკის/თემის/საკითხის ფარგლებში საგნის სტანდარტით განსაზღვრულ რომელ სამიზნე ცნებას მიემართება შეფასება.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემების მოგვარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 16.09.2024). კერძოდ, შემუშავდეს შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში), რომელშიც გამოიკვეთება თემატური ბლოკის/თემის/საკითხის ფარგლებში საგნის სტანდარტით განსაზღვრულ რომელ სამიზნე ცნებას მიემართება შეფასება. შემუშავდეს შეფასების რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში), რომელითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრა ამა თუ იმ სამიზნე ცნება, ქვეცნებასთან მიმართებით .
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	ვინაიდან სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მოსწავლეს ნაკლებად აქვს საშუალება მიიღოს ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოაწყოს შესაბამისი სასწავლო რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულ ვადაში (მაისი 2024 - მაისი 2025).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სასურველია, სკოლამ, ჩართოს საბაზო საფეხურის მოსწავლეები სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში, რაც მიკუთვნებულობის განცდას გაუღვივებს მათ სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ.
ინდიკატორი N.1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სასურველია, სკოლამ, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების განხორციელების გზები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის	სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.



	უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N.3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	ვინაიდან, კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კონტროლი, განთავსებულია სამასწავლებლოში, სკოლას მიეცა რჩევა, გადატანილი იქნას ცალკე ოთახში, რომელზეც წვდომა ექნება მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს.
ინდიკატორი N.3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სკოლას მიეცა რჩევა, წიგნადი ფონდი სრულად აღრიცხოს ელექტრონულად.
ინდიკატორი N.3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რჩევა, თავისუფალ სივრცეში, გონივრულ ვადაში, მოაწყოს რესურს ოთახი.
ინდიკატორი N.3.5.1.5.	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თავისუფალი სივრცის ან სააქტო/საკონფერენციო დარბაზის მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობით სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება საბაზო საფეხურზე, რათა მოსწავლეებს მიეცეთ ინიციატივების გამოჩენის კანონიერი უფლება.



	მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;	
ინდიკატორი N.4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლას მიეცა რჩევა, მუდმივმოქმედი თანამშრომლობის მემორანდუმის გააფორმოს ახლომდებარე პროფესიულ სასწავლებელთან ან კოლეჯთან.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რჩევა კათედრის სხდომებზე დეტალურად განიხილონ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით გამოვლენილი ხარვეზები თუ გასაუმჯობესებელი მიმართულებები - სხდომის ოქმებშიც დეტალურად ჩანდეს განხილული საკითხი.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო - სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გასწორდეს და დაიხვეწოს ტექნიკური ხარვეზები კონკრეტული კლასების კურიკულუმებში (3-4 კლასი) მოიცავდეს : თემას, სამიზნე ცნებას, ძირითად საკითხს ,შუალედურ მიზნებს ,სასწავლო რესურს; დამატებითი რესურსები იქნას დაკონკრეტებული-მიეთითოს შესაბამისი ჰიპერლინკები; მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საზოგადოებრივი -



		სკოლას მიეცა რჩევა, „ჩვენი საქართველოს“ V-VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, მსგავსად „მე და საზოგადოების“ კურიკულუმებისა იყოს სტრუქტურულად მეტად სრულყოფილი. მათემატიკა - სკოლას მიეცა რჩევა, მათემატიკის II, IV კლასის კურიკულუმში დაემატოს ყველა კომპონენტი III კლასის კურიკულუმის მსგავსად, როგორცაა_ სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებზე მუშაობისას. თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო კურიკულუმის ერთიან ფორმაში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილ სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფო ენა - სკოლას მიეცა რჩევა, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული იყოს თემის შესწავლისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა. ფიზიკური აღზრდა - სკოლას მიეცა რჩევა, ფიზიკური აღზრდის პირველი კლასის კურიკულუმში ასახული თემა „სახალისო თამაშები“ სასურველია, გაიწეროს არა ყველა სავარაუდო თემის აქტივობა, არამედ მხოლოდ იმ ერთი სპორტის სახეობის ელემენტები, რომელიც მუშავდება აღნიშნულ თემაში და რომლის რესურსიც(ინვენტარი) გააჩნია სკოლას.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას მიეცა რჩევა, „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმებში მითითებული იყოს მეტი კომპლექსური ხასიათის დავალება,



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	კონტექსტ-მაგალითები და სახელმძღვანელოს გარდა სხვა დამატებითი რესურსი. სახელმწიფო ენა - სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გვერდებისა და ტექსტების სათაურების გარდა, ასევე, მითითებული იყოს კონკრეტული გრიფირებული სახელმძღვანელოს დასახელება.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა - სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დანართის სახით გაწერილი იყოს სხვადასხვა სამიზნე ცნებაზე შესრულებული კომპლექსური ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა; *სასურველია, მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დანართის სახით მოსდევდეს არა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, არამედ- განმავითარებელი შეფასებისაც.
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	ფიზიკური აღზრდა - სკოლას მიეცა რჩევა, საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების (სპორტის სახეობების ელემენტები) სათანადოდ შესწავლისთვის, სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ფართის გამოყოფა სკოლის შენობაში. დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება და ამ თემის შესწავლის მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს ტანვარჯიშის ლეიბის შეძენა. საბუნებისმეტყველო - სკოლაზე გაიცა რჩევა, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი რესურსი კურიკულუმებშივე სასურველია იყოს ჰიპერბმულებად ჩაშენებული. მაგ. ტელესკოლის გაკვეთილები და სხვა. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის გარეთა სივრცე გამოიყენონ მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად;



ინდიკატორი N 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	სკოლას მიეცა რჩევა კათედრის სხდომის ოქმებში ასახული იყოს სარეკომენდაციო საჭიროებები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რჩევა - კათედრის სხდომის ოქმებში კურიკულუმების შესახებ მეტი კონკრეტიკა ჩანდეს.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას;	მათემატიკა - სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპონენტები შეიცვას სრულყოფილად. თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად. საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა თითოეულ თემაში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა სამიზნე ცნება ; მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე, ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა გეოგრაფიის ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმი იყოს სტრუქტურულად მეტად სრულყოფილი; მოქალაქეობის მე-7 და მე-9 კლასების საგნობრივი კურიკულუმები იყოს სტრუქტურულად მეტად სრულყოფილი. სახელმწიფო ენა - კათედრას მიეცა რჩევა



		მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩო გაიმართოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე. კერძოდ, მე-3 თემიდან შეივსოს რესურსების გრაფა, რომელშიც გრიფირებული სახელმძღვანელოს ნაცვლად შეცდომით ჩაკოპირებულია თემის შესატყვისი ტექსტი და კონტექსტმაგალითები.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	კათედრებს მიეცა რჩევა - სასკოლო კურიკულუმის ერთიან ფორმაში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფო ენა - კათედრას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული იყოს თემის შესწავლისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა. საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში, მსგავსად ისტორია მე-7 კლასი, მოქალაქეობა მე-7 კლასი და საქართველოს ისტორია მე-9 კლასების კურიკულუმებისა, მეტად სრულყოფილად იყოს ფორმულირებული შუალედური მიზანი და ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტს ქმნის მოსწავლე.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში, (გარდა ისტორია მე-7 კლასი, მოქალაქეობა მე-7 კლასი და საქართველოს ისტორია მე-9 კლასი) მითითებული იყოს მეტი კომპლექსური ხასიათის დავალება, კონტექსტ-მაგალითები და სახელმძღვანელოს გარდა სხვა დამატებითი რესურსი.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენდეს და შეიქმნას განხორციელებული პროექტების დოკუმენტაცია - კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეების დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრას მიეცა რჩევა დაიხვეწოს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები - მოერგოს სასწავლო თემებს და გათვალისწინებული იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები. სახელმწიფო ენა - კათედრას მიეცა რჩევა *საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დანართის სახით გაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით;
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სპორტი - სკოლას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების (სპორტის სახეობების) სათანადოდ შესწავლისთვის, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ფართის გამოყოფა სკოლის შენობაში.
ინდიკატორი N 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	კათედრებს მიეცა რჩევა - კათედრის სხდომის ოქმებში ასახული იყოს სარეკომენდაციო საჭიროებები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიაში დეკლარირებულია სკოლის სურვილი, უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდას. სკოლის ხედვაში მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ ამ მისიის შესრულებისთვის შესაფერისი გარემოს ფორმირებაზე. კერძოდ, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე, სკოლის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების მიწოდების უზრუნველყოფასა და ამ ყველაფრის მისაღწევად მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას მისიაში გაცხადებული აქვს რომ უზრუნველყოფს უსაფრთხო და მრავლისმომცველი გარემოს შექმნას და მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს გარემოში ადაპტაციას. ხედვა კი, მხოლოდ სწავლა-სწავლების ხელშეწყობას არ გულისხმობს, არამედ, ფიზიკურად, ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს ფორმირების უზრუნველყოფის ვალდებულებასაც იღებს.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით, წარმომადგენლობითი პრინციპით (დირექტორი, მასწავლებელი, მშობელი), შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა შეისწავლა სასკოლო საზოგადოების აზრი, შეფასდა და განისაზღვრა საჭიროებები, რომლის მიხედვითაც შედგა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტი.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსია პირისპირ შეხვედრებზე გაუზიარა სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, თანამშრომლებსა და მშობლებს. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განხილული და შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლას მიეცა რჩევა, ჩართოს საბაზო საფეხურის მოსწავლეები სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში, რაც მიკუთვნებულობის განცდას გაუღვივებს მათ სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გამოკრულია საჯაროდ სკოლის ფოიეში, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობით დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება “სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა” სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/996?schoolName>
- გაერთიანებული კრების სხდომის ოქმი #2. 15.03.2024;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1. 25.06.2024;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ყველა ეტაპზე რთავს დაინტერესებულ მხარეებს შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების. სტრატეგიული დაგეგმარება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანები, მითითებულ ვადაში (20.05.2024- 01.09.2024)

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2014 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად ვერ დგინდება ეფუძნება თუ არა იგი სტრატეგიული გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაიზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და წინა წლის თვითშეფასებას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.05.2024 – 16.09.2024)

4. სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად ვერ დგინდება სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თუ არა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური რესურსების განსაზღვრით, მითითებულ ვადაში (20.05.2024- 16.09.2024)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მუხლი 12 მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგი მოიაზრებს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების განხორციელების გზები.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.
3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებათ გასაჯაროებული. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.
4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება ჯერ ვერ მოხდებოდა. ამდენად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა - ორგანიგრამა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, თანამშრომელთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან.

სამუშაო აღწერილობები და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან;

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები გაწერილია. სკოლის სრულყოფილი ერთეულების/ პირების შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პირები კარგად აცნობიერებენ საკუთარ მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;*
- *თანამშრომელთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;*
- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია- უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე, შექმნას გარემო რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას, რეალიზებასა და პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს კადრების მოზიდვა-შერჩევის პრინციპებს, ვაკანსიის გამოცხადების პირობებს, შესრულებული სამუშაოს შეფასებას და მასზე დაყრდნობით თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესებს ასევე, არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, ყველა დასაქმებული ვალდებულია სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვება დაადასტუროს ხელმოწერით. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლაში თანამშრომელთა რაოდენობა მცირეა. სკოლის დირექტორს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით აქვს დაკისრებული თანამშრომლებზე ესა თუ ის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (მუხლი 18) გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა (მუხლი 11, 12, 13,14,15,16) ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევა ხდება სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით. შესაძლებელია ვაკანსიის გამოცხადებაც. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესით. კონკურსი შეიძლება იყოს შიდა ან/და ღია. ღია კონკურსის შემთხვევაში განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი). წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ნასამართლეობის, ნარკოლოგიური, სქესობრივი დანაშაულის შემოწმების ცნობები. სკოლის 2020 წლის შემდეგ მიღებულ ერთი მასწავლებელს, არ აქვს საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობა წარმოდგენილი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და იდენტიფიცირებული მასწავლებლის მიერ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის წარმოდგენის უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.08.2024 – 23.08.2024)

4. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწამოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ცეცხლფარეში, 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი. სკოლაში სულ 12 მასწავლებელია, მათ შორის 2 წამყვანის სტატუსის მქონეა. პედაგოგების კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია, გარდა ექიმისა, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. საშტატო განრიგით სკოლას გათვალისწინებული აქვს ექიმის შტატი. სკოლას რამდენჯერმე გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია სკოლის ექიმის საშტატო ერთეულზე, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის აპლიკანტის არარსებობის გამო ჩაიშალა. შედეგად, სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა ექიმთან, რომელიც არის პროფესიით სტომატოლოგი და მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის მუხლი 2, პუნქტი 2 -ით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული პრობლემის მოგვარებას გეგმავს 2 წლამდე ვადაში, სკოლის პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა ან სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2026)

5. სკოლაში მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა მიღების პროცედურებით, საკონკურსო კომისიების მუშაობით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, სკოლაში შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილი თანამშრომლობითი პროცესებით. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 21-ე მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა კალენდარულ წელიწადში ორჯერ გაიცეს სადღესასწაულო პრემია. კათედრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად (მუხლი 19, 20), შესაძლებელია თანამშრომელთა საჭიროების კვლევა და შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. შეფასების ეტაპებია: დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება, საბოლოო შეფასება. შედეგად, შეთავაზებული იქნება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისები. მასწავლებელთა პროფესიული უნარების შეფასებას განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელიც ასევე გააკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ხორციელდება თუ არა პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ვერ ფასდება.

3. სკოლის პრაქტიკით, მასწავლებლები და სკოლის სხვა პერსონალი გადის სხვადასხვა სახის პროფესიულ ტრენინგ-კურსებს, მაგალითად, სკოლის ბუღალტერმა გაიარა ტრენინგი წლიურ ანგარიშგებასთან და სახაზინო ბუღალტერიასთან დაკავშირებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგი გაიარა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმაც.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ახალი თანამშრომელთა სოციალიზაციას სამუშაო გარემოში. მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: პირველი შეხვედრა, ექსკურსია, თანამშრომლების გაცნობა, მენტორი თანამშრომლის გამოყოფა.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (მუხლი.11). სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების

პროცედურები. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა ფულადი პრემია, რომელიც გაიცემა დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასევე, პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები - სერტიფიკატები;
- სკოლი ბიუჯეტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს შიდა და გარე შეფასებას და ეფუძნება ხარისხის განვითარების ციკლს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები კარგად აღწერს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობით პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. სკოლა აწარმოებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, საქმისწარმოებას (დოკუმენტბრუნვა), საბიბლიოთეკო საქმიანობას, ფინანსების მართვას, ხარისხის მართვას და სხვა. თითოეული მიმართულებისთვის შედგენილია მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც განაპირობებს პროცესების ორგანიზებას.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის მეორე თავის მუხლი 4. მოიცავს სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმებს. პერსონალს კანონდარღვევის შესახებ შეუძლია აცნობოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს, განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ან მიმართოს სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მეორე თავი არეგულირებს სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც განთავსებულია სკოლის ფუნქციონირების მარეგულირებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს მათ. სკოლას დანიშნული ჰყავს ვებ. გვერდზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მშობელთა ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობელთა კრებებზე დამრიგებლის საშუალებით. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს. განცხადების რეგისტრაციაში გატარებაზე, შემსრულებელზე გადაცემასა და შესაბამისი პასუხის მომზადებაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. ორივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი, ხმის უფლებით. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სადაც ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის და მოსაზრების

დაფიქსირების უფლება. დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო ასევე კოლეგიალური ორგანოებია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმის ნიმუში;
- პედაგოგიური სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის საქმისწარმოების დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიურში. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი ერთსართულიანი, ახალ აშენებული შენობა. სასწავლო შენობას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. შენობა აღჭურვილია 7 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერით, აქედან 3 შიდა პერიმეტრზე, 4 გარე პერიმეტრზე. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. დერეფანში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 2 აპრილის მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურისადმი სასკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.

სკოლას არ აქვს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად გეგმავს უზრუნველყოს აღნიშნულის შესრულება 1 წლამდე პერიოდში და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი**. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (აგვისტო 2024 - აგვისტო 2025)

სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

2.სკოლაში სათანადოდაა მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია პირველადი სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები. სკოლის თანამშრომელთა ფუნქციების შესაბამისად, სკოლის ექიმი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (ტრავმა, დაზიანება, დამწვრობა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა; ასფიქსია, კრუნჩხვა, შოკი, ცნობიერების მოშლა, ცხელება და სხვა მსგავსი მდგომარეობა). იგი აფასებს მდგომარეობის სიმძიმეს და იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ. ვინაიდან, სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც არის სტომატოლოგის კვალიფიკაციით და არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი #41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სკოლის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას, შესაბამისად ის ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას სკოლის ტერიტორიაზე. ზემოტაღნიშნული ბრძანების მეექვსე მუხლის „სკოლის სამედიცინო პერსონალის განაწილება“ თანახმად სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა (50-ზე ნაკლები), დასაშვებია სამედიცინო მომსახურების, სანიტარია-ჰიგიენისა და ჯანმრთელობითი განათლების სერვისების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორც არის სოფლის ექიმის მომსახურება, თუ მისი ოფისი განთავსებულია იმავე სოფელში, რომელშიც მდებარეობს სკოლა. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ტერიტორიული პრინციპის მიხედვით შეირჩეს ორი სკოლა, სადაც თითოეულში მოსწავლეთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია და აღნიშნული სკოლების გაერთიანებას მოემსახუროს ერთი ექთან/ექიმი, რომელიც დადგენილი პერიოდულობით განხორციელებს მისთვის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, გადაუდებელი მდგომარეობის დროს, ექიმამდელი დახმარების დროული აღმოჩენის მიზნით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს

პირველადი/გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, მომზადებული/გადამზადებული პერსონალის მიერ საჭირო მომსახურების გაწევა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოცხადებამდე.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული პრობლემის მოგვარებას გეგმავს 2 წლამდე ვადაში, სკოლის პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანა ან სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2026)

3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლის თანამშრომელთა ფუნქციების შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს კლასში წესრიგი და დისციპლინა და იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე;

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომლებიც ითვალისწინებს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმად დამრიგებელი ვალდებულია ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, ჩამოაყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას, რომლის კონტროლზე, კანონმდებლობის ფარგლებში პასუხისმგებელია სკოლის ექიმი. პერსონალის ფუნქციები გაწერილია ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში და მათ ხელშეკრულებებში. ანგარიშების სისტემა ეფექტურად მუშაობს. დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლას მიეწოდება წყალი, რომელიც შემოწმებულია და გაცემულია მივი ვარგისიანობის დამადასტურებელი ცნობა.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონთან საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. სკოლას არ ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს ერთწლამდე პერიოდში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შემუშავება კანონთან „ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისობაში, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და განახორციელოს შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (მაისი, 2024 - მაისი -2025)

სკოლას არ ჰყავს მანდატური. კომპიუტერი კი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კონტროლი, განთავსებულია სამსაწყვეტლოში, შესაბამისად, საფრთხის ქვეშ დგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამუშავებულ მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალობა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული პრობლემის მოგვარებას გეგმავს 1 წლამდე ვადაში, სკოლის პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და კომპიუტერის, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო-სამეთვალყურეო კონტროლი, განთავსება ისეთ გარემოში, რომელზეც წვდომა ექნება მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რათა საფრთხე არ შეექმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამუშავებული მონაცემების უსაფრთხოებას და კონფიდენციალობას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (02.09.2024 – 02.09.2025)

7.სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. დოკუმენტი მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს შემოსული და გასული დოკუმენტების, ოქმების, ბრძანებების დამუშავების, დამუშავებული მონაცემების გამოყენების, დაცვისა და მონიტორინგის მიზნებს.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8.ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ახორციელებს თუ არა სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგების გამოყენებას მექანიზმების გაუმჯობესებისთვის, ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დასკვნა შენობის უსაფრთხოებაზე;
- ბრძანება უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- სკოლის თანამშრომელთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- წერილი შენობა-ნაგებობების სახანძრო ტექნიკური შემოწმების მიზნით;
- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებაზე 02/04/2024;
- შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, განთავსებულია 20768.00 კვ.მ. ფართობზე აშენებულბულ შენობაში. სკოლის ფართი (საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, და სპორტული მოედანი) იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. მერხები და სკამები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია, ყველა კლასში არის დაფა. სკოლა ფლობს და იყენებს მუშა მდგომარეობაში მყოფ 9 კომპიუტერს, 2 პრინტერს და 2 პროექტორს. სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით. სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის. სველი წერტილები მოსწავლეებისა (2-2 კაბინა და ხელსაბანი, ცალცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის) და პერსონალისთვის (ცალ-ცალკე ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის). სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი ბუფეტისთვის, რომელიც აღჭურვილია ინვენტარით და უზრუნველყოფილია წყლითა და ხელსაბანით.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებელია

2.სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალიზაციისათვის ეფექტურ პირობებს ქმნის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და სკოლის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება საცავისა და სამკითხველო სივრცისაგან. სივრცე მყუდრო და გამოყენებისთვის სათანადოა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე 16:00 სათამდე. სკოლის ბიბლიოთეკაში ხდება განახლება არა მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებით, არამედ მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით. სკოლას აქვს 1177 ერთეული მხატვრული ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელო 1106 ერთეული. სკოლას აქვს წიგნების მიღება-ჩაბარების, აღრიცხვისა და

გაცემის დოკუმენტი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ქცევის წესები. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი მატერიალურად. დამოწმებული აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელ და მე-17 გვერდზე. სკოლას მიეცა რჩევა, წიგნადი ფონდი სრულად აღრიცხოს ელექტრონულად.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია

4.სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რაც გამოიხატება იმით, რომ უკლებლივ ყველა სივრცე ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისთვის. სკოლაში არის პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები. შენობაში განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები.

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე. ამიტომ, სკოლას მიეცა რჩევა, თავისუფალ სივრცეში, გონივრულ ვადაში, მოაწყოს რესურს ოთახი.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია

5.სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები.

ვინაიდან სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თავისუფალი სივრცის ან სააქტო/საკონფერენციო დარბაზის მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *საკადასტრო გეგმა;*
- *მერხების მიღება-ჩაბარების აქტი;*
- *მცირეფასიანი ინვენტარის ჩამონათვალი;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში მყოფი 4 პერსონალური კომპიუტერი, 5 ლეპტოპი, 2 პროექტორი, 2 პრინტერი რომლებსაც მოსწავლეები და თანამშრომლები იყენებენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 5 ერთეული ლეპტოპი, 1 პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი. პერსონალური კომპიუტერი არის სკოლის საქმისმწარმოებლის და დირექტორის სარგებლობაში. 1 პერსონალური კომპიუტერი სკოლის ვედოსამეთვალყურეო სისტემასთანაა მიერთებული. ლეპტოპი ასევე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტში. ვინაიდან, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ დიდ სივრცეშია განთავსებული, ბიბლიოთეკარი იყენებს საერთო სივრცეში არსებულ კომპიუტერს. სკოლის დაახლოებით 70%-ზე შესაძლებელია Wi-Fi-ით სარგებლობა. კერძოდ, ადმინისტრაციის და ხუთ საკლასო ოთახში. ბიბლიოთეკასა და ორ საკლასო ოთახს Wi-Fi არ მიეწოდება, თუმცა გაყვანილია დამატებითი კაბელები ინტერნეტისთვის და მათი საშუალებით კომპიუტერები დაკავშირებულია ინტერნეტთან. სკოლას ინტერნეტი 50Mbps სიჩქარით მიეწოდება.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, რომელიც ასევე თვალსაჩინოდაა განთავსებული სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში. აღნიშნული გეგმის შესაბამისად სკოლის კომპიუტერული კლასით სარგებლობის უფლება აქვს მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს სხვადასხვა დროს. დოკუმენტი გაწერილია საჭიროებების წინასწარი მოკვლევის საფუძველზე. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;
- ინვენტარიზაციის აქტი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა შემუშავებულია და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლის მიზანია სკოლის საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა მუშაობს e-flow-ს სისტემაში. ელექტრონულად რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იყენებს დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow, eschool, ელექტრონული ფოსტა და ვებ გვერდი. მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა გამოიყენებს ელექტრონულ ჟურნალს და დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებულია ელექტრონული ფოსტა.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ვერ შეფასდა.

4.ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია სკოლის ანგარიშების, უკუკავშირისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათთან თანამშრომლობა, ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ.გვერდი;
- სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რომლებიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ გვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ვებ გვერდის და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამების სახელწოდებები; მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი; მოსწავლის, პერსონალის, მშობლისკანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები; სკოლის შინაგანაწესი და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანგარიში არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/996?schoolName>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლის ბიუჯეტით. სკოლას აქვს გარკვეული დანაზოგი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სკოლის მიმდინარე ხარჯებს, ასევე, სკოლის სამომავლო ინფრასტრუქტურული გეგმების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ფინანსურ რესურსებს განკარგავს სკოლის დირექტორი სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლას აქვს ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების პრაქტიკა. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და შესყიდვები.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- სკოლის თანამშრომელთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის თანახმად (მუხლი 12. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მუხლი; მუხლი 13. დისციპლინური დევნა; მუხლი 17/18. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 18. სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს, მუხლი 20. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; და სხვა.) სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ქულების დაანგარიშების მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის ჩატარების წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. აქედან გამომდინარე, სკოლა, შემუშავებული შიდა რეგულაციებით და სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია და ვებ გვერდზეა ატვირთული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“. მექანიზმს თან ახლავს განცხადების ფორმები, რომლის თანახმად მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია ფოიეში, ატვირთულია ვებ. გვერდზე. უფლებათა დაცვის მექანიზმის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმას უნდა იცნობდეს სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი, ზოგიერთი საკითხი შეთანხმდეს კიდევ უნდა მათთან. დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე გამოიკვერება სკოლის ფოიეში.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, სხვა დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. ბრძ.2-17. 01.04.2024;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სკოლის ვებ გვერდი;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული “მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“. წარმოდგენილი მექანიზმი შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. მობილობის შემთხვევაში მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. ყოველივე ზემოთხსენებულის შესახებ დეტალურ ინფორმაცია ასევე დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს ფასიან მომსახურებას. ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის თანახმად, დამტკიცებისთანავე გამოიკვერება სკოლის ფოიეში. სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ასევე იკითხება სკოლის შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია გამოკრულია სკოლის ფოიეში. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები და განთავსებული აქვს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე. სკოლის ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინირებულია.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შინაგანაწესი;
- სკოლის ვებ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელკთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. დოკუმენტის თანახმად, მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი, ხოლო კონტროლი ელავება სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს. დოკუმენტს თან ერთვის მოსწავლის/მშობლის კმაყოფილების კლავის კითხვარი და რეკომენდაციები მშობლებისთვის

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მუხლი 2, ითვალისწინებს ახალი მოსწავლის მხარდაჭერის დეტალებს. მათ შორის, სადამრიგებლო საათის სავარაუდო თემატიკას, რომელიც უნდა განხორციელდეს მოსწავლის მობილობიდან 1 კვირის

ვადაში. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს, რაც ხელს შეუწყობს მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა დროულად და სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია, რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის“ თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დამლევის შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლესა თუ მშობელს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია გამართოს დისკუსიები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ორგანიზება გაუწიოს ვიქტორინებს, ექსკურსიებსა თუ ლაშქრობებს. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს ჩამოყალიბება საბაზო საფეხურზე, რათა მოსწავლეებს მიეცეთ ინიციატივების გამოხატვის კანონიერი უფლება.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შიდა რეგულაციებით, მოსწავლეთა მშობლებთან აქტიურად თანამშრომლობს დამრიგებელი. ისმენს მათგან ინიციატივებს. დამრიგებელი ასევე ატარებს მობილობით გადმოსული მოსწავლის კმაყოფილების გამოკითხვას, სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარის საშუალებით, ცდილობს გამოვლენილი პრობლემის მოგვარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სკოლის დირექციას. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. აგრეთვე, სკოლა, პარასკევს, მშობელთა დღეს, ფოიეში განათავსებს ყუთს, სადაც ყველა დაინტერესებულ მხრეს შეუძლია მოათავსოს წერილობითი იდეა, სურვილი თუ წინადადება. ყუთი პერიოდულად ერთობლივად იხსნება დირექციისა და პედაგოგების მიერ და ხდება მათი გათვალისწინება სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, კლასის დამრიგებელი ვალდებულია შეხვედრები მოაწყოს ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საბაზო საფეხურის მოსწავლეებს საშუალება აქვთ ეწვიონ ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე პროფესიულ კოლეჯს „აისი“. სკოლას მიეცა რჩევა, მუდმივმოქმედი თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმოს ახლომდებარე პროფესიულ სასწავლებელთან ან კოლეჯთან.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლას სწავლებას ახორციელებს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე. სკოლის არსებული მონაცემებით, კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ საშუალო საფეხურზე ახლომდებარე სკოლებში. სკოლა გეგმავს თემში არსებული ინტერესების შესახებ კვლევის ჩატარებას და მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სტრატეგიას.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
